სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-0504/01

ქ. თბილისი 15 იანვარი 2019

2018-2019 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო განრიგის ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისმე- 8-ე მუხლის და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 15 იანვრის №01-05-02/01 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისათვის, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (ბაკალავრიატი), განახლდეს 2019 წლის 21 იანვარს და გაგრძელდეს 2019 წლის 16 თებერვლის ჩათვლით.

2. დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს მე-16 და მე-17 კვირების განმავლობაში (კვლევით კომპონენტში – კვლევის დასრულებიდან დაცვამდე, სასწავლო კომპონენტში – შესაბამისი სასწავლო კურსის სააუდიტორიო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, აღნიშნულ სასწავლო კურსში- დასკვნით გამოცდამდე). დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2019 წლის 18 თებერვლიდან 02 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2019 წლის 04 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით.

3. სასწავლო კურსში 1 თემატური პროექტის არსებობისას იგი ჩაბარდეს მოცემულ სასწავლო კურსში სააუდიტორიო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, დასკვნით გამოცდამდე; ამავე ვადაში ჩაბარდეს მეორე თემატური პროექტი (სასწავლო კურსში 2 პროექტის არსებობისას).

4. შესაბამისი ცვლილებები შევიდეს „2018-2019 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის 06 სექტემბრის №01-09-10/176 ბრძანებაში.

1. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე